ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №63/01-01, 19.04.2016 წ.
დანართი №1

2016 წლის 11-22 ივლისის ჩათვლით ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლისთვის მონაწილეების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში მონაწილეების შერჩევა.

2. მონაწილეების შერჩევა

მონაწილეების შერჩევა მოხდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
2. მოტივაციის წერილი
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

1. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს ზეპირი პრეზენტაციისა და მოტივაციის წერილის შეფასებას.

ბ) კანდიდატის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის ზეპირი პრეზენტაცია შეფასებული იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

2. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ მონაწილეების შერჩევის გზით.